განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი "სპექტრი"

# პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ციური დურული

წევრები: ირმა ღარიბაშვილი

ნატო გაბოშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი "სპექტრი"

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: სსიპ

საიდენტიფიკაციო კოდი: 208183605

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☐ პროფესიული კოლეჯი

■ საზოგადოებრივი კოლეჯი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 20 აგვისტოს N758 ბრძანების საფუძველზე შექმნილმა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა 2018 წლის 29-30 აგვისტოს სსიპ- საზოგადოებრივ კოლეჯ „სპექტრში" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების და დაწესებულების მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-6, მე-7 და მე-8 მუხლებით დადგენილი სტანდარტების შესაბამისობის დასადგენად განახორციელა ვიზიტი. საზოგადოებრივი კოლეჯის მიერ ავტორიზაციის გზით დასამატებლად წარმოდგენილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები: თაბაშირ - მუყაოს კონსტრუქციების მემონტაჟის მესამე საფეხურის, საბათქაშე სამუშაოების მწარმოებლის მესამე საფეხურის, სამღებრო სამუშაოების მწარმოებლის მესამე საფეხურის, ქვის სამუშაოების მწარმოებლის მესამე საფეხურის და სახვითი ხელოვნების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.

ვიზიტის განმავლობაში ექსპერტთა ჯგუფი მუშაობდა წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის მიხედვით (იხ.დანართი 1), შემოწმებულ იქნა საგანმანათლებლო პროგრამები, სილაბუსები და მოდულები; ფართისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; საბიბლიოთეკო ფონდი; პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის პირადი საქმეები და ხელშეკრულებები; ვებგვერდიემისის ელექტრონულ ბაზაში ინფორმაციის შეტანის მდგომარეობა; სტუდენტთა პირადი საქმეები; სტუდენტთა რეესტრის მონაცემები; მემორანდუმები /ხელშეკრულებები პარტნიორ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და პრაქტიკის ობიექტებთან; დაწესებულების საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტები, მათი რეგისტრაციის ჟურნალები; დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის ამსახველი დოკუმენტაცია და სხვ. ადგილზე იქნა გადამოწმებული პრაქტიკის ობიექტები, განხორციელდა ადმინისტრაციის წარმომადგენლებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და დაწესებულების წარმომადგენლების ინტერვიურება.

ვიზიტი განხორციელდა საქმიან და კეთილგანწყობილ გარემოში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## II. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით შემოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები: „თაბაშირ - მუყაოს კონსტრუქციების მემონტაჟის, საზათქაშე სამუშაოების მწარმოებლის“, „სამღებრო სამუშაოების მწარმოებლის“, „სახვითი ხელოვნების სპეციალისტის“ და „ქვის სამუშაოების მწარმოებლის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.

| სტანდარტი | | ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი | სტანდარტი დაკმაყოფილებულია | სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული |
|---|---|---|---|---|
| 1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები | | მუხლი 6 | ☒ | ☐ |
| 1.1 | დაწესებულების უფლებამოსილი ორგანის მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანის მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ | მუხლი 6 / პუნქტი ა) | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად | | | |
| 1.2 | დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ; | მუხლი 6 / პუნქტი ბ) | ☒ | ☐ |
| 1.3 | პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს | მუხლი 6 / პუნქტი გ) | ☒ | ☐ |
| 1.4 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები | მუხლი 6 / პუნქტი დ) | ☒ | ☐ |
| 1.5 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები | მუხლი 6 / პუნქტი ე) | ☒ | ☐ |
| 1.6 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად | მუხლი 6 / პუნქტი ვ) | ☒ | ☐ |
| **2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი** | | მუხლი 7 | ☒ | ☐ |
| 2.1 | დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისთვის და | მუხლი 7 / პუნქტი ა) | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის: | | | |
| 2.1.1 | ერთ მისამართზე 400 კვ.მ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ. | მუხლი 7 / პუნქტი ა.ა) | ☒ | ☐ |
| 2.1.2 | სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი; | მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ) | ☒ | ☐ |
| 2.2 | დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები; | მუხლი 7 / პუნქტი ბ) | ☒ | ☐ |
| 2.3 | დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას; | მუხლი 7 / პუნქტი გ) | ☒ | ☐ |
| 2.4 | საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში; | მუხლი 7 / პუნქტი დ) | ☒ | ☐ |
| 2.5 | დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა; | მუხლი 7 / პუნქტი ე) | ☒ | ☐ |
| 2.6 | დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | მუხლი 7 / პუნქტი ვ) | ☒ | ☐ |
| 2.6.1 | ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი; | მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა) | ☒ | ☐ |
| 2.6.2 | თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა; | მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ) | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------

------------

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.6.3 | სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები; | მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ) | ☒ | ☐ |
| 2.6.4 | წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები. | მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ) | ☒ | ☐ |
| 2.7 | დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის; | მუხლი 7 / პუნქტი ზ) | ☒ | ☐ |
| 2.8 | ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი; | მუხლი 7 / პუნქტი თ) | ☒ | ☐ |
| 2.9 | შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს. | მუხლი 7 / პუნქტი ი) | ☒ | ☐ |
| **3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი** | | მუხლი 8 | ☒ | ☐ |
| 3.1 | დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს; | მუხლი 8 / პუნქტი ა) | ☒ | ☐ |
| 3.2 | საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი; | მუხლი 8 / პუნქტი ბ) | ☒ | ☐ |
| 3.3 | პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად შრომითი | მუხლი 8 / პუნქტი გ) | ☒ | ☐ |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. | | | |

## IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

საზოგადოებრივი კოლეჯის საქმიანობა, სოციალურ პარტნიორებთან თანამშრომლობის წარმატებული მაგალითები, განხორციელებული პროექტები, შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამები და პარტნიორი დაწესებულებების მზაობა თანამშრომლობისათვის მოწმობს, რომ საზოგადოებრივი კოლეჯი არის საინჟინრო-სამშენებლო სფეროსათვის კვალიფიციური კადრის მიმწოდებელი და საიმედო პარტნიორი საგანმანათლებლო დაწესებულება.

## დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ დაფიქსირებულა

## VI. რეკომენდაციების შეჯამება

- ქვესტანდარტი 2.1. სასურველია, ლ° გარემოს ტექნიკური აღჭურვილობის რაოდენობის გაზრდა უზრუნველყოფილი იქნეს სასწავლო პროცესის დაწყებამდე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდულების შესაბამისად;
- ქვესტანდარტი 3.2. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ჩანაწერების მიხედვით, პროგრამებზე სპეციალიზაციის მოდულების სწავლებას უმეტესად ახორციელებს ერთი ან ორი პროფესიული განათლების მასწავლებელი. სასურველია, დაწესებულებამ გაზარდოს დარგობრივი მოდულების პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## VII. დაწესებულების მისია

კოლეჯის მისიაა, ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით მოვამზადოთ მაღალი რანგის პროფესიონალები და შევქმნათ პირობები მათი საგანმანათლებლო მიზნების განხორციელებისა და წარმატებული დასაქმებისათვის.

ლიდერობა, მომხმარებლის ინტერესის გათვალისწინება, ეფექტიანი მართვა, ინოვაციების დანერგვა, ის ზოგადი ღირებულებებია, რომლებიც პრიორიტეტია სასწავლებლისათვის.

კოლეჯის ხედვაა, იყოს ერთ-ერთი წამყვანი სასწავლებელი სტუდენტების დასაქმების მაღალი მაჩვენებლით, პროფესიონალი პედაგოგებით, დაფინანსების დივერსიფიცირებული წყაროებითა და მრავალფეროვანი პარტნიორებით;

შეუნარჩუნოს კოლეჯს ლიდერის იმიჯი და პოზიციები სამშენებლო სფეროს მიმართულებით;
სამუშაო ბაზრის მოთხოვნათა საფუძველზე, პროფესიული კადრის მომზადება;
ინკლუზიური განათლების დანერგვა და განვითარება პიროვნებაზე ორიენტირებული, მოქნილი მიდგომის დანერგვით;
სოციალურ პარტნიორთა ჩართულობით კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის გაზრდა;
კერძო ინვესტორებისა და დონორების მოზიდვა დამატებითი სასწავლო ფართების აღჭურვილობისა და რეაბილიტაციისათვის.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტების შეფასება

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საზოგადოებრივი კოლეჯის მიერ ავტორიზაციის გზით დასამატებლად წარმოდგენილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, ესენია: „თაბაშირ - მუყაოს კონსტრუქციების მემონტაჟის , საბათქაშე სამუშაოების მწარმოებლის“, „ სამღებრო სამუშაოების მწარმოებლის“, „სახვითი ხელოვნების სპეციალისტის'' და „ქვის სამუშაოების მწარმოებლის'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.

აღნიშნული პროგრამები დამტკიცებულია უფლებამოსილი ორგანოს, კერძოდ, დირექტორის მიერ 2018 წლის 15 აგვისტოს N 120/ ა ბრძანებით. აღნიშნული უფლებამოსილება განსაზღვრულია პროფესიული პროგრამებისა და მოდულების შემუშავების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესით (მუხლი 2. პროფესიული პროგრამის/მოდულის შემუშავებისა და დამტკიცების პროცედურა).



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს ინფორმაციას პროგრამის დამტკიცების შესახებ, დაწესებულების დასახელებას, პროგრამის დასახელებას, დაწესებულების საკონტაქტო ინფორმაციას; პროგრამაში მოცემულია შემდეგი სახის ინფორმაცია: ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება, რომლის საფუძველზეც შექმნილია პროგრამა, ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შექმნილია პროგრამა, მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია, საკანონმდებლო ბაზა, დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები, პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები,ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, პროგრამის სტრუქტურა და მოდულები, პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის, და დანართები - სასწავლო გეგმა, განმახორციელებელი პერსონალის ჩამონათვალი, მატერიალური რესურსი და პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოდული.

ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტები, ადგილზე კი დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტაციის შესწავლისა და გაანალიზების საფუძველზე გამოიკვეთა შემდეგი:

<u>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა-სამღებრო სამუშაოების მწარმოებელი</u>

<u>(მესამე საფეხური).</u>

<u>მისანიჭებელი კვალიფიკაცია - მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია</u>

<u>კედლის დაფარვის სამუშაოებში.</u>

საგანმანათლებლო პროგრამა „სამღებრო სამუშაოების მწარმოებელი" მოიცავს ზოგად მოდულებს 16 კრედიტის ჯამური რაოდენობით, საერთო პროფესიულ მოდულებს 8 კრედიტის ჯამური რაოდენობით და პროფესიულ/დარგობრივ მოდულებს 35 კრედიტის ჯამური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რაოდენობით. პროგრამის ჯამური რაოდენობა კრედიტებში არის 59. ქართული ენის მოდულების გათვალისწინებით პროგრამის მოცულობა შეადგენს 74 კრედიტს.

სასწავლო გეგმის მიხედვით სწავლის პროცესის ხანგრძლივობა განსაზღვრულია შემდეგნაირად - ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 10 თვე, არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის 12 თვე. დაცულია მოდულზე დაშვების წინაპირობები. მოდულები ისწავლება კურაციული მიდგომით, კვირეული დატვირთვით მაქსიმუმ 40 საათი. სასწავლო გეგმით აღნიშნული პროგრამის გავლა გაწერილია 41 სამუშაო კვირაზე. ხოლო, არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 51 კვირაზე.

წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამაში დასაზუსტებელი იყო მიზანი და შედეგები. ჩანაწერი „პროგრამის მიზანია მშენებლობის სფეროსთვის უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება. პროგრამის სწავლების საფუძველზე მომზადდეს კადრები კედლის დაფარვის სამუშაოების კვალიფიკაციის მიმართულებით“ შეიცვალა და ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ წარმოადგინა ჩასწორებული ვერსია. ასევე, პროგრამის შედეგებში დაემატა ჩარჩო დოკუმენტში მოცემული შედეგები „შეასრულოს ექსტერიერსა და ინტერიერში თბოსაიზოლაციო და ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები; მოაწყოს/შექმნას ჭერის, კედლის კუთხეებზე, ჭაღის, კარისა და ფანჯრების გარშემო დეკორაციები, ინტერიერში გააკრას შპალერი“.

ცვლილებები განხორციელდა სსიპ-საზოგადოებრივი კოლეჯ „სპექტრის“ დირექტორის ბრძანება №486-ის შესაბამისად - „სსიპ-საზოგადოებრივი კოლეჯ „სპექტრი“ შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, მოდულების, სასწავლო გეგმების, პროგრამების განმახორციელებელი ადამიანური რესურსების, საასწავლო გარემოსა და მატერიალური რესურსების დამტკიცებისა და სსიპ-საზოგადოებრივი კოლეჯ „სპექტრის“ დირექტორის მიერ 2018 წლის 8 აგვისტოს №112-ა ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ სსიპ-საზოგადოებრივი კოლეჯ „სპექტრის“ დირექტორის 2018 წლის 15 აგვისტოს №120-ა ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

11 კერძო
საგანმანათლებლო დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები
კომპანიასთან - შპს. "შენი სახლი" (გაფორმების თარიღი: 12.11.2013 წ N 65 ), შპს. "ოლ-პი ჯგუფი"
(გაფორმების თარიღი: 21.05.2014წ N 89), შპს."ბინის კომფორტი" (გაფორმების თარიღი: 09.07.2014
N 101), ა(ა)იპ. საქართველოს საპატრიარქოს კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის სკოლა-
პანსიონი". (გაფორმების თარიღი: 10.01.2013წ. N 35), შპს. "ROOMS" (გაფორმების თარიღი:
29.01.2016წ N 139), შპს. "ნეოტექ" (გაფორმების თარიღი: 19.07.2016 N 152), შპს. 'ანაგი" (გაფორმების
თარიღი: 16.05.2017 N164), შპს. კ. სერვის ცენტრი" (გაფორმების თარიღი: 14.11.2017 N 189), შპს.
"ენსისი" (გაფორმების თარიღი: 05.02.2018 N 193), შპს. "გზაჯვარედინი" (გაფორმების თარიღი:
13.07.2018 N203) , შპს. "ლუნი" (გაფორმების თარიღი: 04.07.2018 N201).

ექსპერტებმა განახორციელეს ვიზიტი საწარმოებში, სადაც მოახდინეს ადმინისტრაციის
ხელმძღვანელებთან ინტერვიურება.

საწარმო - შ.პ.ს. „ანაგი". ინტერვიურებისას ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ
განიცდიან კადრების მნიშვნელოვან დეფიციტს. გარდა ამისა, სურთ ხელი შეუწყონ ახალგაზრდა
კადრების, მომავალი სპეციალისტების მომზადებას. მათი აზრით, პროფესიული სტუდენტისთვის
მნიშვნელოვანია საწარმოსთან შეხება, უშუალოდ ტექნოლოგიურ პროცესებთან შეხება, მათი
ჩართულობით სამუშაოების უსაფრთხოდ შესრულება და იმ უნარების შეძენა, რომელიც
სავალდებულოა კვალიფიკაციის მისანიჭებლად. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება შრომის
უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის საკითხებს. ობიექტებზე არის უსაფრთხოების
ინსტრუქტორი, რომელიც პროფესიულ სტუდენტებს წინასწარ გააცნობს უსაფრთხოების
საკითხებს.

საწარმო-შ.პ.ს. „გზაჯვარედინი". საწარმოს დირექტორმა ინტერვიურებისას ისაუბრა
კომპანიის საქმიანობის შესახებ. მან გამოთქვა მზადყოფნა, რომ შეასრულებს მემორანდუმით
ნაკისრ ვალდებულებებს. ისინი ახორციელებენ ლითონის მასალების და დეტალების სამღებრო
სამუშაოებს და ამ კონკრეტული მიმართულებით ხელს შეუწყობენ კოლეჯს სტუდენტების
პრაქტიკული კომპონენტების შესწავლაში. კომპანიამ სურვილი გამოთქვა დუალურ სწავლებაში



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ჩართვის შესახებ. მათი სურთ, რომ მონაწილეობა მიიღოს იმ კადრის მომზადებაში, რომელსაც მომავალში დაასაქმებენ.

შპს. "ლუნი". ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ განიცდიან კადრების მნიშვნელოვან დეფიციტს. გარდა ამისა, სურთ ხელი შეუწყონ ახალგაზრდა კადრების მომზადებას სამშენებლო მიმართულების სპეციალობების მიხედვით. მისი აზრით პროფესიული სტუდენტისთვის მნიშვნელოვანია საწარმოსთან შეხება, უშუალოდ ტექნოლოგიურ პროცესებთან შეხება.

დაწესებულების მიერ განსაზღვრულია პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა - 45 პროფესიული სტუდენტი.

პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიურებისას აღინიშნა, რომ სწავლის დაწყების წინ შეადგენენ კალენდარულ გეგმებს და შეფასების ინსტრუმენტებს.

***პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ქვის სამუშაოს მწარმოებელი" (მესამე საფეხური). მისანიჭებელი კვალიფიკაცია-მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სამშენებლო კონსტრუქციების მოწყობაში.***

საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს ზოგად მოდულებს 16 კრედიტის ჯამური რაოდენობით, საერთო პროფესიულ მოდულებს 8 კრედიტის ჯამური ოდენობით და პროფესიულ/დარგობრივ მოდულებს 35 კრედიტის ჯამური რაოდენობით. პროგრამის ჯამური რაოდენობა კრედიტებში არის 59. ქართული ენის მოდულის გათვალისწინებით პროგრამის მოცულობა შეადგენს 74 კრედიტს. სასწავლო გეგმის მიხედვით სწავლის პროცესის ხანგრძლივობა განსაზღვრულია შემდეგნაირად - ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 9 თვე, არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის 11 თვე. სასწავლო გეგმით აღნიშნული პროგრამის გავლა გაწერილია 39 სამუშაო კვირაზე. ხოლო, არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 49 კვირაზე.

დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა პროგრამის ჩასწორებული ვერსია. დაკონკრეტდა პროგრამის მიზნები. აღნიშნული ცვლილება განხორციელდა სსიპ-



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საზოგადოებრივი კოლეჯ „სპექტრის" დირექტორის ბრძანება №486-ის შესაბამისად - „სსიპ-
საზოგადოებრივი კოლეჯ „სპექტრი" შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების,
მოდულების, სასწავლო გეგმების, პროგრამების განმახორციელებელი ადამიანური რესურსების,
სასწავლო გარემოსა და მატერიალური რესურსების დამტკიცებისა და სსიპ-საზოგადოებრივი
კოლეჯ „სპექტრის" დირექტორის მიერ 2018 წლის 8 აგვისტოს №112-ა ბრძანების
ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ" სსიპ-საზოგადოებრივი კოლეჯ „სპექტრის"
დირექტორის 2018 წლის 15 აგვისტოს №120-ა ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

პრაქტიკის უზრუნველყოფის მიზნით საგანმანათლებლო დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმი კომპანიასთან - შპს "ლუნი" (გაფორმების თარიღი: 04.07.2018 N201). კოლეჯის წარმომადგენელმა ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ მუშაობენ სხვა კომპანიებთან მემორანდუმების გაფორმებასთან დაკავშირებით. შპს "ლუნის"ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ განიცდიან კადრების მნიშვნელოვან დეფიციტს. გარდა ამისა, სურთ ხელი შეუწყონ ახალგაზრდა კადრების მომზადებას სამშენებლო მიმართულების სპეციალობების მიხედვით. მისი აზრით პროფესიული სტუდენტისთვის მნიშვნელოვანია საწარმოსთან შეხება, უშუალოდ ტექნოლოგიურ პროცესებთან შეხება.

დაწესებულების მიერ განსაზღვრულია პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა - 30 პროფესიული სტუდენტი.

მასწავლებლებთან ინტერვიურებისას აღინიშნა, რომ სწავლის დაწყების წინ შეადგენენ კალენდარულ გეგმებს და შეფასების ინსტრუმენტებს.

***პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „თაბაშირმუყაოს კონსტრუქციების მემონტაჟე"***

***(მესამე საფეხური).***

***მინიჭებული კვალიფიკაცია-მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია***

***კედლის დაფარვის სამუშაოებში.***



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------

---------------

პროგრამის სტრუქტურა მოიცავს ზემოხსენებული კვალიფიკაციისთვის საერთო 6 ზოგად
სავალდებულო მოდულს ჯამური 16 კრედიტის ოდენობით, 4 საერთო დარგობრივ მოდულს
ჯამური 8 კრედიტის ოდენობით და 5 სავალდებულო პროფესიულ/დარგობრივ მოდულს
ჯამური 35 კრედიტის ოდენობით.

კედლის დაფარვის სამუშაოებში მე-3 საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის
მინიჭებისათვის, სტუდენტმა უნდა დააგროვოს, - 59 კრედიტი, ხოლო არაქართულენოვანმა
სტუდენტმა 74 კრედიტი, რომელთაგან 59 კრედიტს ემატება ქართული ენა A2 მოდული
(15კრედიტი).

პროგრამების სავარაუდო ხანგრძლივობა სხვადასხვა იქნება ქართულენოვანი და
არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის: ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 10 თვე,
არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 12 თვე.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პროგრამაში ცვლილებები განხორციელდა და ვიზიტის
პერიოდში წარმოადგინეს ჩასწორებული ვერსია. დაკონკრეტდა პროგრამის მიზანი. აღნიშნული
ცვლილება განხორციელდა სსიპ-საზოგადოებრივი კოლეჯ „სპექტრის" დირექტორის ბრძანება
№486-ის შესაბამისად - „სსიპ-საზოგადოებრივი კოლეჯ „სპექტრი" შესაბამისი პროფესიული
საგანმანათლებლო პროგრამების, მოდულების, სასწავლო გეგმების, პროგრამების
განმახორციელებელი ადამიანური რესურსების, სასწავლო გარემოსა და მატერიალური
რესურსების დამტკიცებისა და სსიპ-საზოგადოებრივი კოლეჯ „სპექტრის" დირექტორის მიერ 2018
წლის 8 აგვისტოს №112-ა ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ" სსიპ-
საზოგადოებრივი კოლეჯ „სპექტრის" დირექტორის 2018 წლის 15 აგვისტოს №120-ა ბრძანებაში
ცვლილების შეტანის თაობაზე". პროგრამა უზრუნველყოფილია სასწავლო რესურსით.
მასწავლებლებთან ინტერვიურებისას აღინიშნა, რომ სწავლის დაწყების წინ შეადგენენ
კალენდარულ გეგმებს და შეფასების ინსტრუმენტებს.

პროგრამის სტრუქტურა და მოდულები გაწერილია ჩარჩო-დოკუმენტის შესაბამისად და
ემთხვევა დასახელებები. ასევე სწავლის შედეგები გაწერილია ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----------

სასწავლო გეგმით აღნიშნული პროგრამის გავლა გაწერილია 42 სამუშაო კვირაზე (10 თვეზე ) ხოლო, არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის- 52 კვირაზე (12 თვეზე).

დაწესებულების მიერ განსაზღვრულია პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა - 45 პროფესიული სტუდენტი. დაცულია მოდულზე დაშვების წინაპირობა. კვირეული დატვირთვით მაქსიმუმ 40 საათი.

ამ ეტაპზე დაწესებულებას გააჩნია მატერიალური რესურსის გარკვეული ნაწილი (რაოდენობრივად ნაკლები). დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა და პროფესიული განათლების მასწავლებლებმა ინტერვიურებისას აღნიშნეს, რომ მატერიალური რესურსის დარჩენილ ნაწილს და საჭირო მასალებს დაწესებულება შეიძენს სწავლის დაწყების წინ.

კოლეჯს მემორანდუმები უვადოდ აქვს გაფორმებული შემდეგ კომპანიებთან- შპს. "კნაუფ გიპს თბილისი" (გაფორმების თარიღი: 03.04.2014წ N 75); შპს. "ოლ-პი ჯგუფი" ( გაფორმების თარიღი: 21.05.2014წ N 89); შპს."ბინის კომფორტი" (გაფორმების თარიღი: 09.07.2014 N 101); შპს. "ROOMS" (გაფორმების თარიღი: 29.01.2016წ N 139); შპს. "ნეოტექ" ( გაფორმების თარიღი: 19.07.2016 N152); შპს. „კ. სერვის ცენტრი" (გაფორმების თარიღი: 14.11.2017 N 189 ); შპს. "ენსისი" (გაფორმების თარიღი: 05.02.2018 N 193); შპს. "ლუნი" (გაფორმების თარიღი: 04.07.2018 N201) და მხოლოდ ერთ კომპანიასთან ვადის მითითებით (შპს „ანაგთან").

ექსპერტებმა განახორციელეს ვიზიტი საწარმოებში, სადაც მოახდინეს ადმინისტრაციის ხელმძღვანელებთან ინტერვიურება.

შპს „ანაგის" ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ განიცდიან კადრების მნიშვნელოვან დეფიციტს. გარდა ამისა, სურთ ხელი შეუწყონ ახალგაზრდა კადრების, მომავალი სპეციალისტების მომზადებას. მათი აზრით, პროფესიული სტუდენტისთვის მნიშვნელოვანია საწარმოსთან შეხება, უშუალოდ ტექნოლოგიურ პროცესებთან შეხება, მათი ჩართულობით სამუშაოების უსაფრთხოდ შესრულება და იმ უნარების შეძენა, რომელიც სავალდებულოა კვალიფიკაციის მისანიჭებლად. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის საკითხებს. ობიექტზე არის უსაფრთხოების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინსტრუქტორი, რომელიც პროფესიულ სტუდენტებს წინასწარ გააცნობს უსაფრთხოების საკითხებს.

შპს "ლუნის" ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ განიცდიან კადრების მნიშვნელოვან დეფიციტს. გარდა ამისა, სურთ ხელი შეუწყონ ახალგაზრდა კადრების მომზადებას სამშენებლო მიმართულების სპეციალობების მიხედვით. მისი აზრით პროფესიული სტუდენტისთვის მნიშვნელოვანია საწარმოსთან შეხება, უშუალოდ ტექნოლოგიურ პროცესებთან შეხება.

*პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საბათქაშე სამუშაოების მწარმოებელი" (მესამე საფეხური). მისანიჭებელი კვალიფიკაცია- მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია კედლის დაფარვის სამუშაოებში.*

საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს ზოგად მოდულებს 16 კრედიტს ჯამური რაოდენობით, საერთო პროფესიულ მოდულებს 8 კრედიტის ჯამური რაოდენობით და პროფესიულ/დარგობრივ მოდულებს 35 კრედიტის ჯამური რაოდენობით. პროგრამის ჯამური რაოდენობა კრედიტებში არის 59. ქართული ენის მოდულების გათვალისწინებით პროგრამის მოცულობა შეადგენს 74 კრედიტს. სასწავლო გეგმის მიხედვით სწავლის პროცესის ხანგრძლივობა განსაზღვრულია შემდეგნაირად - ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 10 თვე, არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის 12 თვე. დაცულია მოდულზე დაშვების წინაპირობა. პროფესიული/დარგობრივი მოდულები ისწავლება კურაციული მეთოდით, კვირეული დატვირთვით მაქსიმუმ 40 საათი. სასწავლო გეგმით აღნიშნული პროგრამის გავლა გაწერილია 42 სამუშაო კვირაზე, ხოლო, არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 52 კვირაზე.

საგანმანათლებლო პროგრამაში დასაზუსტებელი მიზანი კონცენტრაციის გათვალისწინებით დაკონკრეტდა და დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა ჩასწორებული ვერსია. ცვლილებები განხორციელდა სსიპ-საზოგადოებრივი კოლეჯ „სპექტრის" დირექტორის ბრძანება №486-ის შესაბამისად - „სსიპ-საზოგადოებრივი კოლეჯ „სპექტრი"



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, მოდულების, სასწავლო გეგმების, პროგრამების განმახორციელებელი ადამიანური რესურსების, სასწავლო გარემოსა და მატერიალური რესურსების დამტკიცებისა და სსიპ-საზოგადოებრივი კოლეჯ „სპექტრის" დირექტორის მიერ 2018 წლის 8 აგვისტოს №112-ა ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ" სსიპ-საზოგადოებრივი კოლეჯ „სპექტრის" დირექტორის 2018 წლის 15 აგვისტოს №120-ა ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

პროგრამა უზრუნველყოფილია სასწავლო რესურსით. მასწავლებლებთან ინტერვიურებისას აღინიშნა, რომ სწავლის დაწყების წინ შეადგენენ კალენდარულ გეგმებს და შეფასების ინსტრუმენტებს.

საგანმანათლებლო დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები 9 კერძო კომპანიასთან – შპს. "კნაუფ გიპს თბილისი" ( გაფორმების თარიღი: 03.04.2014. N 75), შპს. "ოლ-პი ჯგუფი" (გაფორმების თარიღი: 21.05.2014წ N 89), შპს."ბინის კომფორტი" (გაფორმების თარიღი: 09.07.2014 N 101), შპს. "ROOMS" (გაფორმების თარიღი: 29.01.2016წ N 139), შპს. "ნეოტექ" (გაფორმების თარიღი: 19.07.2016 N 152), შპს. 'ანაგი" (გაფორმების თარიღი: 16.05.2017 N164), შპს. კ. სერვის ცენტრი" (გაფორმების თარიღი: 14.11.2017 N 189), შპს. "ენსისი" (გაფორმების თარიღი: 05.02.2018 N 193), შპს. "ლუნი" (გაფორმების თარიღი: 04.07.2018 N201).

ექსპერტებმა განახორციელეს ვიზიტი საწარმოებში, სადაც მოახდინეს ადმინისტრაციის ხელმძღვანელებთან ინტერვიურება.

შპს „ანაგის" ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ განიცდიან კადრების მნიშვნელოვან დეფიციტს. გარდა ამისა, სურთ ხელი შეუწყონ ახალგაზრდა კადრების, მომავალი სპეციალისტების მომზადებას. მათი აზრით, პროფესიული სტუდენტისთვის მნიშვნელოვანია საწარმოსთან შეხება, უშუალოდ ტექნოლოგიურ პროცესებთან შეხება, მათი ჩართულობით სამუშაოების უსაფრთხოდ შესრულება და იმ უნარების შეძენა, რომელიც სავალდებულოა კვალიფიკაციის მისანიჭებლად. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის საკითხებს. ობიექტებზე არის უსაფრთხოების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინსტრუქტორი, რომელიც პროფესიულ სტუდენტებს წინასწარ გააცნობს უსაფრთხოების საკითხებს.

შპს "ლუნის" ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ განიცდიან კადრების მნიშვნელოვან დეფიციტს. გარდა ამისა, სურთ ხელი შეუწყონ ახალგაზრდა კადრების მომზადებას სამშენებლო მიმართულების სპეციალობების მიხედვით. მისი აზრით პროფესიული სტუდენტისთვის მნიშვნელოვანია საწარმოსთან შეხება, უშუალოდ ტექნოლოგიურ პროცესებთან შეხება.

დაწესებულების მიერ განსაზღვრულია პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა - 30 პროფესიული სტუდენტი. საგანმანათლებლო დაწესებულებაში აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია C გარემო. დათვალიერების შედეგად აღმოჩდა, რომ ამ ეტაპზე დაწესებულებას გააჩნია მატერიალური რესურსის გარკვეული ნაწილი (რაოდენობრივად ნაკლები). მასწავლებლებმა ინტერვიურებისას აღნიშნეს, რომ მატერიალური რესურსის დარჩენილ ნაწილს და საჭირო მასალებს დაწესებულება შეიძენს სწავლის დაწყების წინ. C გარემო გათვალისწინებულია ორი პროგრამისთვის - „საბათქაშე სამუშაოების მწარმოებელი" და „ქვის სამუშაოს მწარმოებელი".

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სახვითი ხელოვნების სპეციალისტი" (მეოთხე საფეხური).**

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია- მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სახვით ხელოვნებაში**

ცენტრში წარმოდგენილი სახვითი ხელოვნების სპეციალისტის პროგრამა არ არის შესაბამისობაში სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 8 აგვისტოს N724/ი ბრძანებით დამტკიცებულ სახვითი ხელოვნების ჩარჩო დოკუმენტთან (სარეგისტრაციო ნომერი 02127-3).



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ადგილზე ვიზიტისას გაირკვა, რომ აღნიშნული პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი ახალი რედაქციით დამტკიცდა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 8 აგვისტოს N724/ი ბრძანებით, მაშინ, როცა დაწესებულებას უკვე ჰქონდა შემუშავებული პროგრამა, რომელიც დაამტკიცა 2018 წლის 15 აგვისტოს N 120/ ა ბრძანებით. დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, ახალი ჩარჩო დოკუმენტის დამტკიცების შესახებ მათ მხოლოდ ექსერტთა ვიზიტის დროს, მათთან გასაუბრების შედეგად, 29 აგვისტოს გახდა ცნობილი.

აღსანიშნავია, რომ ვიზიტის მეორე დღეს დროს დაწესებულებამ წარმოადგინა **სახვითი ხელოვნების სპეციალისტის** პროგრამა, დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 30 აგვისტოს N486 ბრძანებით. აღნიშნული პროგრამა ადაპტირებულია და შესაბამისობაშია პროგრამის მოქმედ ჩარჩო დოკუმენტთან.

პროგრამით, რომელიც წარმოდგენილი იყო თავდაპირველად, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირს უნდა დაეგროვებინა 77 კრედიტი.

ახალი ვერსიით, რომელიც მოქმედ ჩარჩო დოკუმენტთან შესაბამისობაშია, პროგრამა მოიცავს 6 ზოგად მოდულს ჯამური 17 კრედიტის ოდენობით და 14 პროფესიულ/დარგობრივ მოდულს ჯამური 63 კრედიტის ოდენობით. პროგრამის წინა ვერსიასთან შედარებით დამატებულია 4 ახალი მოდული, აქედან ერთი ზოგადი, ერთი არჩევითი, ხოლო ორი დარგობრივი მოდულია. შეცლილია მოდულების დასახელებები და შესაბამისი კრედიტები.

პირმა მეოთხე საფეხურის სახვითი ხელოვნების კვალიფიკაციის მოსაპოვებლად უნდა დააგროვოს 85 კრედიტი, აქედან ერთი მოდული სავალდებულო არჩევითია.

რა თქმა უნდა, ორივე შემთხვევაში, არაქართულენოვანთათვის ემატება ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 მოდულები (30 კრედიტი).

პრაქტიკის კომპონენტის უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები საწარმოებთან:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ა(ა)იპ. საქართველოს საპატრიარქოს კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის სკოლა-პანსიონი". (გაფორმების თარიღი: 10.01.2013წ. N 35)
- ს. ს. "თრიალეთ" საფირმო ნიშანი "ხელოსანთა ქალაქი" (გაფორმების თარიღი: 12.09.2016 N 155 )
- ი/მ "აკაკი გურგენიძე" ( გაფორმების თარიღი: 24.03.2017 N 161)
- შპს. "ლუკაჩო" (გაფორმების თარიღი: 08.07.2017 N 178 )
- შპს. "ენსისი" ( გაფორმების თარიღი: 05.02.2018 N 193 )
- შპს. "სოციალური საწარმო დადარი" (გაფორმების თარიღი: 10.04.2018 N 197)
- შპს. "ოცნების სახლი" საფირმო სახელი "მეგა დორს" (გაფორმების თარიღი: 02.03.2018 N 194)

ექსპერტებმა განახორციელეს ვიზიტი შპს „მეგადორსში", სადაც მოახდინეს საწარმოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან და პრაქტიკის ინსტრუქტორთან ინტერვიურება.

"მეგადორსის" ხელმძღვანელმა ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ განიცდიან კადრების მნიშვნელოვან დეფიციტს. გარდა ამისა, სურთ ხელი შეუწყონ ახალგაზრდა კადრების მომზადებას. მისი აზრით პროფესიული სტუდენტისთვის მნიშვნელოვანია საწარმოსთან შეხება, უშუალოდ ტექნოლოგიურ პროცესებთან შეხება.

დაწესებულების მიერ განსაზღვრულია პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა - 30 პროფესიული სტუდენტი.

**ინტერვიუ განხორციელდა საწარმოო პრაქტიკის მენეჯერთან,** გამოიკვეთა შემდეგი: საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელი პრაქტიკის დაწყებამდე: ამზადებს/ამობეჭდავს პრაქტიკის დღიურს; აკეთებს პროფესიულ მასწავლებელთა ტარიფიკაციას, ცხრილებს, ამზადებს გამოცდის უწყისებს და აჯამებს პროფესიული სტუდენტების მიერ შესრულებული სამუშაოებს.

კოლეჯის საწარმოო პრაქტიკის მენეჯერთან გასაუბრებით გაირკვა, რომ პროგრამის ავტორიზაციის რეჟიმით დამატების შემთხვევაში იგეგმება საწარმოში პრაქტიკის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხელმძღვანელებისათვის პროგრამების შინაარსის გაცნობა და მათთვის ტრენინგების ჩატარება მოდულებში მითითებული შედეგების მიღწევისათვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ-საზოგადოებრივი კოლეჯი „სპექტრის" დირექტორის 2018 წლის 15 აგვისტოს N 120 ა და დირექტორის 30 აგვისტოს N 486 ბრძანებებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით.
- დირექტორის ბრძანებით N 274 ( 17 მაისი 2018 წელი) დამტკიცებული პროფესიული პროგრამებისა და მოდულების შემუშავების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესით;
- დირექტორის ბრძანებით N 83-ა (21აგვისტო. 2015 წელი) დამტკიცებული სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯში „სპექტრი" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო მიზნით გამოსაყენებელი მასალების შენახვისა და გამოყენების, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვისას და განკარგვის წესით;
- დირექტორის ბრძანებით N 80/1-ა (18 აგვისტო 2015 წელი) დამტკიცებული ტექნოლოგიური პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაციის წესით;
- დირექტორის 2015 წლის 30 მარტის ბრძანებით N 60 დამტკიცებული "საწარმოო პრაქტიკის გავლის წესით";
- დირექტორის ბრძანებით N 474 (10 აგვისტო 2018 წელი) სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯ „სპექტრში" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასების წესით;
- მემორანდუმებით;
- ინტერვიუს შედეგებით;

შეფასება:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), განთავსებულია ოფიციალურ ვებ-გვერდზე http://spectri.org/files/katalogi-2018-spectri.pdf , მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: კოლეჯის ისტორია, მიღწევები, პარტნიორი ორგანიზაციები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მისია, ფასეულობები, ხედვა, საკონტაქტო ინფორმაცია, საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (დასახელება, საფეხური, პროფესიული კვალიფიკაცია,სწავლის შედეგები, კრედიტები, სწავლის ხანგძლივობა,სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება და სხვ).

დასამატებლად წარმოდგენილი პროგრამები, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის ავტორიზებული, არის ამავე კატალოგში განთავსებული სხვა ავტორიზებულ პროგრამებთან ერთად, თუმცა, გამოყოფილია წარწერით: „კატალოგის დამატება (ანონსი)".

კატალოგი განახლებულია 2018 წელს.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- ვებ-გვერდზე http://spectri.org/files/katalogi-2018-spectri.pdf განთავსებული კატალოგით;
- ინტერვიუს შედეგებით;

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:** დაწესებულების დირექტორს ბრძანებით დამტკიცებული ჩარჩოდოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები კერძოდ: „თაბაშირ - მუყაოს კონსტრუქციების მემონტაჟის , საბათქაშე სამუშაოების მწარმოებლის", „ სამღებრო სამუშაოების მწარმოებლის", „სახვითი ხელოვნების სპეციალისტის'' და „ქვის სამუშაოების მწარმოებლის'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩოდოკუმენტებს.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები)**

- სსიპ-საზოგადოებრივი კოლეჯი „სპექტრის" დირექტორის 2018 წლის 15 აგვისტოს N 120ა ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით.
- ჩარჩო დოკუმენტებით;

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების დირექტორის 2014 წლის 06 აგვისტოს N 110 ა ბრძანებით დამტკიცებული საზოგადოებრივი კოლეჯის ,,სპექტრის" პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის და მობილობის წესი, ასევე მიღებული პროფესიული განათლების აღიარების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის პროცედურის(შემდგომში წესი) მუხლი 2 -ის (პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება) საფუძველზე: პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება ხდება ,,სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯში ,,სპექტრი" ,,პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის N152/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესების შესაბამისად. ამავე წესის **მუხლი 3** არეგულირებს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების მექანიზმებს, გაწერილია სტატუსის შეჩერების საფუძვლები, სტატუსის შეჩერება შესაძლებელია არაუმეტეს 2 წლის ვადით.

**მუხლი 4 არეგულირებს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის მექანიზმებს:** სტატუსის შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველია: „ხელშეკრულებით გათვალისწინებული სწავლის საფასურის არ გადახდა", მეორე ჩანაწერის შესაბამისად „სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება ბრძანების გამოცემიდან ექვსი თვის შემდეგ. დროის ამ მონაკვეთში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი შეუთავსებელია მიმღები დაწესებულების მიერ დადგენილ პირობებთან.

დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრებით დგინდება, რომ პროფესიული სტუდენტები სახელმწიფო დაფინანსებით სწავლობენ, ხოლო მეორე ჩანაწერი (ბრძანების გამოცემიდან ექვსი თვის შემდეგ სამართლებრივი შედეგების დადგომასთან დაკავშირებთ) ტექნიკური უზუსტობაა,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ორივე ჩანაწერი დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 29 აგვისტოს N485 ბრძანებით ამოღებულ იქნა.

ზემო აღნიშნულ წესში არ იყო გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის მექანიზმები, დირექტორის 2018 წლის 29 აგვისტოს N 485 ბრძანებით წესს დაემატა მუხლი 3[1] ,რომლის თანახმად სტატუსის აღდგენა შესამლებელია პროფესიული სტუდენტის ან/და/მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის (არასრულწლოვნის შემთხვევაში) პირადი განცხადების წარდგენით, სადაც მითითებული იქნება მოთხოვნა სტატუსის აღდგენის შესახებ.

**მუხლი 5-6 არეგულირებს** მობილობის პროცესს, პროფესიულ სტუდენტთა მობილობის და ადმინისტრირებას ახორციელებს კოლეჯის დირექტორი დაინტერესებულ პირთა წერილობითი განცხადებების საფუძველზე. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს იმ დოკუმენტის ასლი, რომლის საფუძველზეც პირი ჩაირიცხა საგანმანათლებლო დაწესებულებაში და სტუდენტის პირად საქმეში არსებული სხვა დოკუმენტაციის ასლები. აუცილებლობის შემთხვევაში კოლეჯის ადმინისტრაციის მიერ შესაძლებელია მოთხოვნილი იქნას გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი სხვა დოკუმენტებიც, რომელთა დადგენილ ვადაში წარმოუდგენლობა შესაძლებელია გახდეს პირის მობილობაზე უარის თქმის საფუძველი. ერთიდაიგივე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მობილობა (მათ შორის – შიდა მობილობაც) შესაძლებელია განხორციელდეს ნებისმიერ დროს, მაგრამ არაუგვიანეს ერთი თვისა შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე; განსხვავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მობილობის შემთხვევაში (მათ შორის – შიდა მობილობის დროს) პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია განხორციელდეს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის დაწყებიდან 3 კვირის განმავლობაში. აღნიშნული წესიდან გამონაკლისის დაშვება შესაძლებელია კოლეჯის დირექტორის გადაწყვეტილებით, კონკრეტული შემთხვევის ინდივიდუალურად განხილვისა და სპეციალისტთა მოსაზრებების გათვალისწინების შედეგად. მობილობა ხორციელდება ერთი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მუხლი 7 არეგულირებს მიღებული განათლების აღიარების მექანიზმებს, კოლეჯის ადმინისტრაცია ადგენს შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას, რომელიც არ შეიძლება იყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სრული მოცულობის 75%-ზე ნაკლები და იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ. აღიარებას ექვემდებარება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით. სტუდენტის მიერ ათვისებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (ან მისი ნაწილის) შინაარსობრივი შესწავლის შედეგად, შესაძლებელია დადგინდეს სტუდენტის მიერ გავლილი და კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით (ან მისი ნაწილით) გათვალისწინებული შინაარსის შესაბამისობა, პროგრამის ან/და სასწავლო კურსის/კურსების სახელწოდებებში არსებული სხვაობის მიუხედავად. დაწესებულება უფლებამოსილია, გასაუბრების ან გამოცდის საფუძველზე დაადგინოს მობილობის მსურველი პირის პროფესიული განათლების შესაბამისი საფეხურისათვის დადგენილი პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შემოწმება და მათი იმ საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობა, რომელზეც პირი აპირებს სწავლის გაგრძელებას. ასეთი შეუთავსებლობა ჩაითვლება არსებით შეუთავსებლობად, რაც წარმოადგენს პირის მობილობით ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველს. სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული სტუდენტის განათლების აღიარება ფორმდება კოლეჯის დირექტორის გადაწყვეტილებით, რომელშიც მიეთითება სტუდენტის მიერ გავლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა კოლეჯის იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან, რომელზეც პირი აპირებს სწავლის გაგრძელებას და ასევე აღიარებული კრედიტების რაოდენობა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------

----------------

დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 10 აგვისტოს N 473 ბრძანებით დამტკიცებული საზოგადოებრივი კოლეჯის „სპექტრის" არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების წესი შემუშავებულია „პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის, მე-10 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 3 თებერვლის „არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" №8/ნ ბრძანებისა და ამ წესის შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

